



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

2021 წელი 18 ივნისი

79/04

№ \_\_\_\_\_

თბილისი

**ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 და 4<sup>3</sup> პუნქტების და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და 38-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის თანდართული სახელმძღვანელო.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 25 ოქტომბრის N202/04 ბრძანება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“.

**მუხლი 3.** საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულმა ანგარიშვალდებულმა პირებმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის პროცესის წარმართვა უზრუნველყონ ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად.

**მუხლი 4.** ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კობა გვენეტაძე

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის სახელმძღვანელო

თავი I - რისკის ანალიზთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელმძღვანელოს მიზანი და რეგულირების სფერო

1. ეს სახელმძღვანელო ეფუძნება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (შემდგომში - ფმს) დებულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე, ითვალისწინებს ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF), ევროკავშირის დირექტივებისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებსა და რეკომენდაციებს და მიზნად ისახავს - მეთოდოლოგიური დახმარება გაუწიოს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - სებ) ზედამხედველობას დაქვემდებარებულ, ანგარიშვალდებულ პირებს (შემდგომში - ანგარიშვალდებული პირი) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (ML/TF) ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკების ანალიზის (რისკის შეფასება, მართვა და კომუნიკაცია) სათანადო სისტემის შემუშავებაში.
2. ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით არსებული ML/TF რისკების შეფასებისა და მართვის ერთიანი უნივერსალური მოდელის არარსებობის პირობებში, სახელმძღვანელოში განხილული ინფორმაცია ანგარიშვალდებულ პირს მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ მიმართულებით არსებული მოთხოვნების პრაქტიკული იმპლემენტაციისთვის საჭირო ძირითადი საკითხების სათანადო განმარტებასა და დეტალიზებაში, რაც ხელს შეუწყობს მას, საკუთარი ორგანიზაციის/ფინანსური ჯგუფის სპეციფიკაზე მორგებული რისკის შეფასების მოდელისა და შესაბამისი მართვის სისტემების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის წარმართვისას, გაითვალისწინოს ამ მიმართულებით მკაფიოდ გაცხადებული საზედამხედველო მოლოდინები.
3. სახელმძღვანელო განსაზღვრავს ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკებისა და მათი შეფასების არსს, ასევე, იმ ძირითადი კომპონენტებისა და მათი ქვე-ფაქტორების არაამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც ანგარიშვალდებულმა პირმა (ფინანსური ჯგუფის შემთხვევაში - სათავო ორგანიზაციამ) უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების სისტემის შემუშავებისა და მისი ფორმალიზების, აგრეთვე, იდენტიფიცირებული რისკების ეფექტიანი მართვის პროცესის ორგანიზებისა და შედეგების სათანადო ფორმითა და პერიოდულობით დოკუმენტირებისას.
4. ეს სახელმძღვანელო განსაზღვრავს ზოგად სტანდარტებს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ყველა ანგარიშვალდებულ პირზე, აგრეთვე მასში მოცემულია, სუბ-სექტორების (ფინანსური სექტორის კონკრეტული წარმომადგენლები, მაგალითად, კომერციული ბანკების სუბ-სექტორი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სუბ-

სექტორი და ა.შ.) სპეციფიკის გათვალისწინებით შედგენილი, ML/TF ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკების შეფასების ფორმები და პრაქტიკული მაგალითები.

## მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ანგარიშვალდებულმა პირმა რისკის ანალიზის პროცესის ამოქმედება უნდა დაიწყოს საქმიანობის განხორციელების დაწყებისთანავე და გაითვალისწინოს, რომ ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკის ანალიზის ციკლმა უნდა მოიცვას სამი განცალკევებული, თუმცა, ურთიერთდაკავშირებული ძირითადი კომპონენტი, კერძოდ - რისკის შეფასება, რისკის მართვა და რისკის კომუნიკაცია.
2. ორგანიზაციის/ფინანსური ჯგუფის წინაშე არსებული ML/TF რისკების დროული იდენტიფიცირებისა და სათანადო შეფასების სისტემის გამართული ფუნქციონირება ქმნის რისკზე დამყარებული მიდგომის ბაზისს და ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას აძლევს რისკების მართვისათვის საჭირო რიგი ძირითადი მიმართულებების შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, გაარკვიოს რამდენად მგრძობიარეა მისი ფინანსური ჯგუფი ან ცალკეული ორგანიზაცია (ან ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული ცალკეული მიმართულება) ML/TF საფრთხეების მიმართ და იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, შეიმუშავოს ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემა.
3. მნიშვნელოვანია, ანგარიშვალდებულ პირს სათანადოდ ჰქონდეს გაანალიზებული საკუთარი ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით არსებული ML/TF რისკების შეფასების, მართვისა და კომუნიკაციის ეფექტური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მნიშვნელობა, ვინაიდან, ზემოხსენებული პროცესების წარმართვისთვის სუსტი მმართველობითი მექანიზმების არსებობის პირობებში, შესაძლოა პოტენციური ნეგატიური შედეგები საკმაოდ მასშტაბური აღმოჩნდეს ორგანიზაციისთვის და გამოიწვიოს ფინანსური, რეპუტაციული, სამართლებრივი და სხვა ტიპის რისკები, აღნიშნულმა კი, საბოლოო ჯამში, საფრთხე შეუქმნას ორგანიზაციის გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას.
4. რისკის ანალიზის პროცესის ეფექტურად წარმართვის აუცილებელი წინაპირობაა ორგანიზაციის მმართველობითი სისტემის უმაღლესი რგოლის სათანადო ინფორმირებულობა და ჩართულობა ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკების ანალიზის წარმართვის პროცესში, რათა მათ მიერ სათანადოდ განისაზღვროს პრიორიტეტები და განაწილდეს რესურსები. აგრეთვე, AML შესაბამისობის კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნას ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი როლი ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის პროცესში და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყოს აღნიშნულ პროცესში.

5. ხშირ შემთხვევაში, ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკის ანალიზის ფუნქცია შესაძლოა დელეგირებულ იქნას მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულზე (მაგალითად, დეპარტამენტი, განყოფილება, ჯგუფი), თუმცა, ამ შემთხვევაში, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით არსებული ML/TF რისკების მესაკუთრე არის ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით პოზიციაზე მყოფი პირი (კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭო ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დირექტორატი). შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მისი უშუალო ჩართულობით ხორციელდებოდეს მთელი ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკების ანალიზისადმი ერთიანი, ორგანიზაციისთვის/ჯგუფისთვის მისაღები მიდგომების, ანუ ე.წ. „კონცეპტუალური ბაზის“ და ML/TF რისკის აპეტიტის დადგენა.

## თავი II - რისკის ანალიზთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები

### მუხლი 3. რისკის ანალიზის ციკლი

1. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების ანალიზი წარმოადგენს უწყვეტ ციკლს, რომელიც ერთმანეთის მონაცვლე, ხანდახან კი პარალელურად მიმდინარე მიმართულებებს მოიცავს. თითოეული მიმართულება, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე ქვემიმართულებად და ამ ქვემიმართულების ფარგლებში განსახორციელებელ ცალკეულ ეტაპებად. კერძოდ, ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით:

ა) რისკის ანალიზთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა - ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნას, სულ მცირე, ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, შიდა აუდიტის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული საკითხის ორგანიზებასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები დეტალიზებულია ამ სახელმძღვანელოს მე-4 მუხლში.

ბ) რისკის ანალიზის კომპლექსურობის საჭიროების განსაზღვრა და არგუმენტების დოკუმენტირება - აღნიშნულ ეტაპზე ანგარიშვალდებულმა პირმა ორგანიზაციის ძირითადი მახასიათებლების (ორგანიზაციის მოცულობა, სუბ-სექტორის რისკი, ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულე, ბიზნეს მოდელი, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების მრავალფეროვნება, კლიენტთა მრავალფეროვნება და ა.შ) ანალიზის საფუძველზე უნდა მოახდინოს ორგანიზაციული/ფინანსური ჯგუფის ML/TF რისკის ანალიზის კომპლექსურობის საჭიროების იდენტიფიცირება და აღნიშნულის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რამდენად რთული და დახვეწილი რისკის შეფასების, მართვისა და კომუნიკაციის სისტემაა მისი ორგანიზაციის მახასიათებლებისთვის თანაზომიერი. რისკზე დამყარებული მიდგომის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებულმა პირმა შესაძლოა არ შეიმუშავოს ისეთი კომპლექსური რისკის ანალიზის სისტემა, როგორც სხვა შემთხვევაში მოითხოვება, თუ, მაგალითად - ფინანსური სუბ-სექტორი, რომელსაც ის წარმოადგენს, ქვეყნის რისკის შეფასების ეროვნული ანგარიშით ან/და

ზედამხედველის მიერ გამოქვეყნებული სექტორული რისკის ანალიზით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ განიხილება მაღალი რისკის მატარებლად ML/TF კუთხით, ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურა არის მარტივი და გამჭვირვალე, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ტიპები არ არის მრავალფეროვანი და სხვ. რისკის ანალიზის კომპლექსურობის არჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და მისი არგუმენტირებული საფუძვლები უნდა იყოს დოკუმენტირებული, შენახული და მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარედგინოს ზედამხედველს.

გ) რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება - რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შედგენისას ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს ამ სახელმძღვანელოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპებით.

დ) რისკის ანალიზის ძირითადი კომპონენტების (რისკის შეფასება, მართვა და კომუნიკაცია) შესრულება.

#### მუხლი 4. უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა და ფორმალიზება

1. ანგარიშვალდებულ პირს მოეთხოვება, გააანალიზოს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკები და მუდმივად იზრუნოს კონტროლის სისტემის დახვეწაზე. რისკების ეფექტიანი მართვა მოიაზრებს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციაში დამკვიდრებულია სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დირექტორატის, შიდა აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მჭიდრო თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია. ამ მიზნით ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების ანალიზთან დაკავშირებული თითოეული სუბიექტისთვის შესაბამისი და ზუსტი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები.

2. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი საქმიანობა:

ა) ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცება;

ბ) ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება;

გ) ორგანიზაციის/ფინანსური ჯგუფის ML/TF რისკის აპეტიტის შესახებ დოკუმენტის დამტკიცება;

დ) ზემოაღნიშნული რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით გატარებული საქმიანობის შესახებ დირექტორატის ანგარიშის შეფასება;

ე) იმ გადაწყვეტილებების განხილვა, რომლებიც აღემატება დირექტორატის უფლებამოსილებას და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას მოითხოვს რისკის მართვის პოლიტიკისა და ML/TF რისკის აპეტიტის გადახედვასთან დაკავშირებით.

3. თუ ორგანიზაციას არ აქვს სამეთვალყურეო საბჭო და მის ფუნქციებს ითავსებს დირექტორი/დირექტორატი, მაშინ საბჭოსთან დაკავშირებით მოცემული მოთხოვნები გამოყენებულ უნდა იქნას დირექტორის/დირექტორატის მიმართ.

4. ორგანიზაციის/ფინანსური ჯგუფის დირექტორის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი საქმიანობა:

- ა) ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, დასამტკიცებლად სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფა;
- ბ) რისკის შეფასების, მართვისა და შიდა კონტროლის ღონისძიებების კოორდინირება;
- გ) მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისთვის შიდა აუდიტისა და ზედამხედველების მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსთვის;
- დ) რისკის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, ანგარიშის მომზადება და წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსთვის;
- ე) ორგანიზაციაში შესაბამისობის კულტურის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა.

5. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი საქმიანობა:

- ა) ML/TF რისკების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკების შეფასება, დოკუმენტირება და დირექტორისთვის წარდგენა;
- ბ) რისკის მართვის პროცესის გასაუმჯობესებლად მიღებული რეკომენდაციების შესრულებისთვის მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ დირექტორისთვის წინადადებების წარდგენა;
- გ) ორგანიზაციაში რისკის კულტურის ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესის წარმართვა.

6. დამოუკიდებელი აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუბიექტის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი საქმიანობა:

- ა) ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების მეთოდოლოგიის ეფექტურობის შეფასება (სულ მცირე 2 წელიწადში ერთხელ) და შედეგებისა და რეკომენდაციების ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა;
- ბ) დაწესებულებაში ML/TF რისკის მართვის პროცესების აუდიტი და იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა და შედეგებისა და რეკომენდაციების სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა;
- გ) AML/CFT კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება და სხვა;

დ) ზედამხედველი ორგანოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

**მუხლი 5. რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შედგენის ძირითადი პრინციპები**

1. ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასებისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების ოპტიმალური მოდელის შემუშავება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით არსებული ყველა არსებითი რისკისა და რისკ-სცენარების გამოვლენის, შეფასების, იდენტიფიცირებული რისკების მიმართ გონივრული მიდგომებისა და იმგვარი კონტროლის ღონისძიებების შემუშავების უზრუნველსაყოფად, რომლებიც რისკებს შეამცირებენ ორგანიზაციისთვის/ჯგუფისთვის მისაღებ დონემდე (ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის აპეტიტის შესახებ არსებული დოკუმენტით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში).
2. ანგარიშვალდებულმა პირმა/ფინანსური ჯგუფის სათავე ორგანიზაციამ საქართველოს კანონმდებლობის, ამ სახელმძღვანელოს, საუკეთესო პრაქტიკისა და რისკზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით, უნდა შეიმუშავოს ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისობაში მოვა კონკრეტული დაწესებულების/ფინანსური ჯგუფის მიზნებთან და საქმიანობის სპეციფიკასთან. მეთოდოლოგიის შემუშავება განხილულ უნდა იქნეს როგორც რისკის სწორად და სრულყოფილად იდენტიფიცირებისთვის საჭირო ერთ-ერთი საბაზისო კომპონენტი, რომლის მიზანია სისტემატური, სრული, ობიექტური და გამჭვირვალე ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების უზრუნველყოფა. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების სუბ-სექტორებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული სუბ-სექტორების წარმომადგენელ ანგარიშვალდებულ პირებს ორგანიზაციული რისკის ანალიზისთვის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და ორგანიზაციული რისკის შეფასება-დოკუმენტირება არ ევალებათ. მათ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ეფექტური მართვისთვის მათ უნდა იხელმძღვანელონ ქვეყნის რისკის შეფასების ეროვნულ ანგარიშსა და ზედამხედველი ორგანოების მიერ მათი სუბ-სექტორებისთვის იდენტიფიცირებული რისკების და შემოწმების შედეგად მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
3. სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ფინანსური სუბ-სექტორებისა და მათი წარმომადგენელი ინდივიდუალური ორგანიზაციების საქმიანობისა და მათთვის დამახასიათებელი საწყისი ML/TF რისკების, ასევე, რიგი სხვა მახასიათებლების, კერძოდ ორგანიზაციის სიდიდის, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების მრავალფეროვნების, ბიზნეს მოდელის და ა.შ გათვალისწინებით, ორგანიზაციული რისკის შეფასების მეთოდოლოგიის კომპლექსურობა შესაძლოა განსხვავდებოდეს (მაგალითად, გამოყენებულ იქნას მარტივი პროგრამული უზრუნველყოფა - ელ-ცხრილები ან სპეციალური პროგრამული პაკეტები, მარტივი რაოდენობრივი დათვლის ან ხარისხობრივი (რისკის მატრიცა და ა.შ) შეფასების, ან

კომბინირებული მეთოდი), თუმცა, სულ მცირე, უნდა ითვალისწინებდეს სტანდარტულ მოთხოვნებს, კერძოდ:

- ა) მეთოდოლოგიის შემუშავება ორგანიზაციული რისკის მფლობელების (შემუშავება უნდა მოხდეს მენეჯმენტის მიერ, ხოლო მეთოდოლოგია დამტკიცებულ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში დირექტორატის მიერ) მიერ უნდა განხორციელდეს ორგანიზაციული რისკის შეფასებამდე, რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე;
- ბ) მეთოდოლოგიის კომპლექსურობა უნდა იყოს ორგანიზაციის/ჯგუფის მახასიათებლებისა და მოცულობის თანაზომიერი და უნდა უზრუნველყოფდეს ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით არსებული ML/TF რისკების სრულყოფილ ანალიზს;
- გ) მეთოდოლოგიით განსაზღვრული რისკის ანალიზის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს, საუკეთესო პრაქტიკას, რისკზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპს და ზედამხედველის მიერ შემოწმების შედეგად მიცემულ რეკომენდაციებს;
- დ) მეთოდოლოგია მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ცალკეულ სუბიექტთა პასუხისმგებლობებს რისკის ანალიზის პროცესთან მიმართებაში;
- ე) მეთოდოლოგიის მიერ რისკის შემფასებლებისათვის დასახული ამოცანა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მკაფიო და გასაგები;
- ვ) მეთოდოლოგია უნდა იყოს ფორმალიზებული და შეიცავდეს ინფორმაციას მისი წინასწარგანსაზღვრული პერიოდულობით გადახედვის შესახებ. ცვალებადი რისკების გამოვლენისა და რისკების ანალიზის პროცესის დინამიურობის უზრუნველყოფის მიზნით მეთოდოლოგიის გადახედვა უნდა განხორციელდეს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ. ამასთან, ორგანიზაციის/ჯგუფის სტრუქტურასა და საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული არსებითი ხასიათის ცვლილებების შემთხვევაში მეთოდოლოგიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება უნდა განხორციელდეს წინასწარდადგენილ ვადაზე ადრე (ცვლილებების დაფიქსირებიდან უმოკლეს, თუმცა, გონივრულ ვადაში).
- ზ) მეთოდოლოგიამ უნდა განსაზღვროს ორგანიზაციის/ჯგუფის ML/TF რისკის ანალიზის ჩარჩო და პროცედურული საკითხები. ამ პროცესმა უნდა მოიცვას რისკის შეფასების (ამ სახელმძღვანელოს მე-4 თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად), მართვისა (ამ სახელმძღვანელოს მე-5 თავის შესაბამისად) და კომუნიკაციის (ამ სახელმძღვანელოს მე-6 თავის შესაბამისად) კომპონენტებთან დაკავშირებული დეტალების განსაზღვრა.

4. მეთოდოლოგიის კომპლექსურობის ხარისხის არჩევა ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოახდინოს საკუთარი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, უზრუნველყოს მსგავსი ტიპის ანალიზის დოკუმენტირება და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ზედამხედველს.

5. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციული/ფინანსური ჯგუფის რისკების შეფასების პროცესი წარმართოს ანგარიშვალდებულ პირის მიერ შემუშავებული



მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესებისა და პრინციპების დაცვით. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და შენახული და მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს.

**თავი III– ML/TF ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის არსი და მათი განსაზღვრისთვის საჭირო ძირითადი (სტანდარტული) რისკ-კატეგორიები**

**მუხლი 6. ML/TF ორგანიზაციული რისკის არსი**

1. თითოეული ანგარიშვალდებული პირი ფუნქციონირებს გარკვეულ რისკ-გარემოში, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ფორმირდება, იქნება ეს შიდა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი ML/TF რისკები, რომელთა ერთობლიობა, საბოლოო ჯამში, აისახება დაწესებულების ორგანიზაციულ ML/TF რისკ-პროფილზე. შესაბამისად, ორგანიზაციის დონეზე რისკის სწორად და სრულყოფილად განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მთელი დაწესებულების მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ თუ ორგანიზაციულ დონეზე, ასევე, საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებასთან დაკავშირებული რისკ-კატეგორიები და მათი შეფასების პარამეტრები.
2. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ორგანიზაციული ML/TF რისკი განისაზღვრება, როგორც - ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურასა და საქმიანობის მოდელთან, აგრეთვე ორგანიზაციასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებთან ასოცირებული რისკების კომპოზიტიური ანალიზის საფუძველზე დადგენილი რისკის დონე, რომელიც ორგანიზაციის ML/TF მიზნებისთვის პოტენციური გამოყენების ალბათობაზე მიანიშნებს.
3. ორგანიზაციის ML/TF რისკის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული რისკ-კატეგორიები, ფინანსური სუბ-სექტორების მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა, სულ მცირე უნდა მოიცავდეს:
  - ა) ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურასა და საქმიანობის მოდელთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებს:
    - ა.ა) ორგანიზაციის მოცულობა, ფილიალები და შვილობილი კომპანიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
    - ა.ბ) ორგანიზაციის ოპერირების ქვეყანა (ფილიალების და შვილობილი კომპანიების რეგისტრაციის და ოპერირების ადგილმდებარეობა);
    - ა.გ) ფინანსური სუბ-სექტორის მახასიათებლები;
    - ა.დ) ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკა და მოდელი, ბიზნეს საქმიანობისთვის აგენტების, შუამავლების, მოკორესპოდენტო ფინანსური ინსტიტუტების გამოყენება (მსგავსი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში), მესამე მხარეზე დაყრდნობა (მსგავსი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში);

- ა.ე) ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა, ანგარიშვალდებულების ფარგლები და მათი გადანაწილება, გარე კომპანიებზე (ე.წ აუთსორსინგი) დელეგირებული AML/CFT შესაბამისობის ფუნქციები;
- ა.ვ) ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროდუქტები და მომსახურება;
- ა.ზ) ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების არხები;
- ა.ზ.ა) ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით მიწოდებული პროდუქტები;
- ა.ზ.ბ) დისტანციური ფორმით მიწოდებული პროდუქტები და მომსახურება;
- ა.ზ.გ) აგენტების მეშვეობით მიწოდებული პროდუქტები და მომსახურება.
- ა.თ) კლიენტთა ტიპები, რომელთაც ემსახურება ორგანიზაცია (მაგ. კლიენტთა ბაზის სტრუქტურის მახასიათებლები, კერძოდ, კლიენტთა რისკის მიხედვით კლასიფიკაცია, მათი რეზიდენტობის, სამართლებრივი ფორმის, მფლობელობის სტრუქტურის და ა.შ შესახებ).

**ბ) ორგანიზაციასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებთან ასოცირებულ რისკ-კატეგორიებს:**

- ბ.ა) კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობა;
- ბ.ა.ა) ორგანიზაციის კლიენტების მიერ გამოყენებული პროდუქტებისა და მომსახურების ტიპები;
- ბ.ა.ბ) ორგანიზაციის კლიენტების მიერ გამოყენებული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების არხები;
- ბ.ა.გ) კლიენტთა რეზიდენტობა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების გეოგრაფიული არეალი;
- ბ.ა.დ) საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში კლიენტთა მიერ განხორციელებული აქტივობები, ტრანზაქციებთან/გარიგებებთან ასოცირებული მახასიათებლები.
- ბ.ბ) ფინანსურ ინსტიტუტებთან საქმიანი ურთიერთობა;
- ბ.ბ.ა) მომსახურების სახეობა და სერვისის ტიპები, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტები საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებენ;
- ბ.ბ.ბ) საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივობა.
- ბ.გ) გარე კომპანიის მომსახურება (ე.წ აუთსორსინგი);
- ბ.გ.ა) საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივობა.

**მუხლი 7. ML/TF ჯგუფის მასშტაბით რისკის არსი**

1. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკი განისაზღვრება, როგორც ჯგუფის სტრუქტურასა და ჯგუფის წევრებს (სათავო ორგანიზაცია, მისი შვილობილი საწარმო ან/და ფილიალი, რომლებზეც ვრცელდება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები პრევენციული და სხვა ღონისძიებების გატარების თაობაზე) შორის კორელაციასთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებთან ასოცირებული რისკების კომპოზიტიური ანალიზის საფუძველზე დადგენილი რისკის დონე, რომელიც ჯგუფის ML/TF მიზნებისთვის პოტენციური გამოყენების ალბათობაზე მიაჩნდება.

2. ჯგუფის მასშტაბით რისკის იდენტიფიცირებას ახორციელებს ჯგუფის სათავე ორგანიზაცია (რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში) და მის მიერ რისკის შეფასებამ უნდა მოიცავს, როგორც მისი ინდივიდუალური ML/TF ორგანიზაციული რისკის ანალიზი, ასევე, ჯგუფის მასშტაბით საერთო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება და დოკუმენტირება.
3. ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული რისკ-კატეგორიები სულ მცირე უნდა მოიცავდეს:
  - ა) ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებს:
    - ა.ა) ჯგუფის შემადგენელი შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების ოპერირების ქვეყანა/ქვეყნები;
    - ა.ბ) ჯგუფის შემადგენელი შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების ფინანსური სუბ-სექტორები;
    - ა.გ) ჯგუფის შემადგენელი თითოეული შვილობილი კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა და ბიზნეს მოდელი;
    - ა.დ) ჯგუფის შემადგენელი თითოეული შვილობილი კომპანიის ნარჩენი ორგანიზაციული ML/TF რისკის დონე და ML/TF ორგანიზაციული რისკის შეფასების ანალიზი;
  - ბ) ჯგუფის წევრებს შორის კორელაციასთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებს:
    - ბ.ა) ML/TF რისკების გადადება (ზეგავლენის დონე და ზეგავლენის მასშტაბი);
      - ბ.ა.ა) AML/CFT შესაბამისობის რისკების გადადება;
      - ბ.ა.ბ) რეპუტაციული რისკების გადადება.

**თავი IV – რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების პროცესთან დაკავშირებული სტანდარტული პროცედურები**

**მუხლი 8. რისკის შეფასების არსი და მისი შემადგენელი ეტაპები**

1. ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასება წარმოადგენს განმეორებადი და სისტემატიზირებული პროცესების ერთობლიობას, რომელიც იგეგმება, ხორციელდება და კონტროლდება ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით და სტანდარტულად, მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:
  - ა) ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით თანდაყოლილი რისკების შეფასებას;
  - ბ) ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის აპეტიტის განსაზღვრას;
  - გ) ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით იდენტიფიცირებული რისკებისთვის არსებული კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
  - დ) ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ნარჩენი რისკის დონის განსაზღვრას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ეტაპზე დადგენილი რისკების შეფასების შედეგები გამოყენებულ უნდა იქნას რისკების მართვისთვის სწორი სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ

შეფასების პროცესი იყოს კარგად ჩამოყალიბებული და უზრუნველყოს მაქსიმალურად ყველა რისკის იდენტიფიცირება და შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაიდენტიფიცირებული რისკი ვერ დაექვემდებარება რისკის მართვის პროცესს. ამდენად, მნიშვნელოვანია ზუსტი, სრული და ხარისხიანი მონაცემების შეგროვება, რისკის მოვლენების მიხედვით მონაცემთა კატეგორიზაცია, რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემებად სტრუქტურირაცია და ამ მონაცემებით შესაბამისი მანიპულაცია.

3. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ ძირითად (სტანდარტულ) და ორგანიზაციის/ჯგუფის მიერ საკუთარი სპეციფიკის მიხედვით შედგენილ (დამატებით) რისკ-კატეგორიებსა და ქვე-კატეგორიებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ინდივიდუალური რისკების დადგენა, ასევე, რისკთა კორელაციის გათვალისწინებით აგრეგირებული რისკის დონის დადგენა, რაოდენობრივი ან ხარისხობრივი აღწერა და გამომწვევი მიზეზების გამოვლენა ორგანიზაციის/ჯგუფის დონეზე.
4. ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების სამივე ეტაპზე იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორები უნდა იყოს კლასიფიცირებული, დახასიათებული და აღწერილი უნდა იყოს იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორებით გამოწვეული სავარაუდო უარყოფითი ეფექტის და სიმძიმის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების მასშტაბები.

#### მუხლი 9. რისკის შეფასების მეთოდები

1. შეფასების პროცესის საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია, ანგარიშვალდებულმა პირმა გაითვალისწინოს, რომ ორგანიზაციული/ჯგუფის რისკის შეფასებისთვის სავალდებულოდ შესაფასებელი რისკ-კატეგორიების (ორგანიზაციული რისკის შეფასების შემთხვევაში - ამ სახელმძღვანელოს მე-6, ხოლო ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასებისას ამ სახელმძღვანელოს მე-7 მუხლით გათვალისწინებული რისკ-კატეგორიები) გათვალისწინება ერთნაირად მოეთხოვება სხვადასხვა სუბ-სექტორის წარმომადგენელ ანგარიშვალდებულ პირს. ამასთან, მნიშვნელოვანია, თავად ანგარიშვალდებულმა პირმა, საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავოს (საჭიროების შემთხვევაში) დამატებითი რისკ-კატეგორიების ჩამონათვალი.
2. მას შემდეგ, რაც ანგარიშვალდებულ პირი დაასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცესს, მან უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები რისკის შეფასებისთვის. რისკის შეფასების კრიტერიუმი უნდა შეესაბამებოდეს რისკ-კატეგორიას და რისკის დონის გამოსახვის მეთოდს.
3. რისკების შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შეფასების რაოდენობრივი, ხარისხობრივი ან კომბინირებული მეთოდი. გამოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ანგარიშვალდებულ პირის ბიზნეს მოდელის მახასიათებლებს, მასშტაბებს და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს,

კონკრეტული რისკ-კატეგორიების მახასიათებლებს, ანალიზის მიზანს, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და მონაცემების ტიპებს, რესურსებს და სხვა.

- გავრცელებულ პრაქტიკას, რისკის ანალიზის პროცესში, წარმოადგენს რისკის მატრიცის შემუშავება, რაც ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას მისცემს მოახდინოს რისკის რანგირება. მატრიცის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რისკის ალბათობისა და გავლენის ურთიერთკავშირი, რის მიხედვითაც განისაზღვრება რისკის რეიტინგი და კატეგორიზაცია.  
(მაგალითისათვის იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1. რისკის მატრიცის მაგალითი<sup>1</sup>

	მაღალი	3	6	9
ალბათობა	საშუალო	2	4	6
	დაბალი	1	2	3
		დაბალი	საშუალო	მაღალი
<b>გავლენა</b>				

- ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მატრიცა მხოლოდ რისკის შეფასების ერთ-ერთი მეთოდის საილუსტრაციოდ არის წარმოდგენილი და თავად რისკის მატრიცის სტანდარტულ ფორმასაც არ წარმოადგენს. შესაბამისად, შესაძლებელია ალბათობისა და გავლენის კრიტერიუმების რაოდენობის, კატეგორიების მიხედვით კლასიფიკაციის ზრდა.

**მუხლი 10. ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკ-კატეგორიებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები**

- ამ მუხლით გათვალისწინებული ინდიკატორები (რისკ-ფაქტორები) წარმოადგენს მინიშნებებს იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია განხორციელდეს სტანდარტული რისკ-კატეგორიებისა და მათ ქვე-ფაქტორებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, აღწერისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენისა და დოკუმენტირების პროცესში. ინდიკატორების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შეუძლებელია მოიცავდეს ყველა ისეთ ვითარებას/კატეგორიას, რომელსაც ML/TF საფრთხე უკავშირდება. ამასთან, ცალკეული ინდიკატორები შეიძლება პირდაპირ არ მიუთითებდეს ML/TF რისკ-ფაქტორებზე, თუმცა, ანგარიშვალდებულ პირებს ისეთი შემთხვევების იდენტიფიცირებაში დაეხმარება, რომლებიც დამატებით გამოკვლევას და ანალიზს იმსახურებს.

<sup>1</sup> რისკის მატრიცის პრაქტიკული გამოყენების საილუსტრაციოდ განვიხილოთ სახელმძღვანელოს მეშვეობით განსაზღვრული ერთ-ერთი ძირითადი რისკ-კატეგორიის ანალიზის პროცესი. კერძოდ, ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურასა და საქმიანობის მოდელთან დაკავშირებული რისკ-კატეგორიის - ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების არხების ანალიზი. აღნიშნული პროცესის წარმართვისას, ორგანიზაციამ პირველ რიგში უნდა დააიდენტიფიციროს ყველა შესაძლო რისკ-ფაქტორი (მაგ. მაღალი რისკის მატარებელი კლიენტის მიერ დისტანციური ფორმით მიწოდებული პროდუქტების სისტემატიური გამოყენება, მაღალრიცხოვანი აგენტების ჩართულობით განხორციელებული ოპერაციების დინამიკის ზრდა, ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შესახებ მონიტორინგის პროცესისას იდენტიფიცირებული ოპერაციების საექსპოზიციო დინამიკის ზრდა და ა.შ). შემდგომ თითოეული რისკ-ფაქტორის მოხდენის ალბათობისა და აღნიშნულით გამოწვეული გავლენის შედეგების ანალიზი.

2. ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურასა და საქმიანობის მოდელთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებთან ასოცირებული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობრივი ან ხარისხობრივი აღწერისა და გამომწვევი მიზეზების დადგენისას, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს:

ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურასა და საქმიანობის მოდელთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებსა და მათ ქვე-კატეგორიებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები (მითითებულია რისკ-ფაქტორების არაამომწურავი ჩამონათვალი):

ა) ორგანიზაციის მოცულობასთან, ფილიალებსა და შვილობილ კომპანიებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაქმებულ თანამშრომელებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

ა.ა) ორგანიზაციის მოცულობა და ფინანსურ სუბ-სექტორში მისი ხვედრითი წილი მოცულობითია;

ა.ბ) ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებულია ფილიალების, შვილობილი კომპანიებისა და დასაქმებულ თანამშრომელთა დიდი რაოდენობა (მაგ. ორგანიზაციასთან, რომელსაც რამდენიმე ათეული ფილიალი და რამოდენიმე შვილობილი კომპანია ჰყავს, ამასთან თანამშრომელთა რაოდენობა მოცულობითია, სხვა მასშტაბის (შედარებით მაღალი) რისკები იქნება ასოცირებული, ხოლო იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც არ აქვს ფილიალები და შვილობილი კომპანიები და თანამშრომელთა მცირე რაოდენობა ჰყავს დასაქმებული, შედარებით ნაკლები რისკები იქნება დაკავშირებული);

ა.გ) თანამშრომელთა გადინების დონე მასშტაბურია (განსაკუთრებით, AML/CFT მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა);

ბ) ორგანიზაციის ოპერირების ქვეყანასთან (ფილიალების და შვილობილი კომპანიების რეგისტრაციის და ოპერირების ადგილმდებარეობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

ბ.ა) ქვეყნის რისკის შეფასების ეროვნულ ანგარიშში ან/და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნის შეფასების ანგარიშში ორგანიზაციის ოპერირების ქვეყნის AML/CFT სისტემის შესახებ მითითებულია მნიშვნელოვანი ტიპის ნაკლოვანებები;

ბ.ბ) ორგანიზაციის ფილიალები ან/და შვილობილი კომპანიები ლოკალიზებულია ქვეყნის შიგნით, თუმცა, საზღვრისპირა ტერიტორიაზე ან/და ტურიტისტული თავშეყრის ადგილებთან და ა.შ.

გ) ფინანსური სუბ-სექტორის მახასიათებლებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

გ.ა) ქვეყნის რისკის შეფასების ეროვნულ ანგარიშში ან/და ზედამხედველის მიერ გამოქვეყნებულ სექტორული რისკის ანალიზის დოკუმენტში აღნიშნულ სუბ-სექტორის AML/CFT შესაბამისობის კულტურისა და ცნობადობის, რისკის კონტროლის მექანიზმებისა და სუბ-სექტორის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ უარყოფითი შეფასება არის დაფიქსირებული;

დ) ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკა და მოდელი, ბიზნეს საქმიანობისთვის აგენტების, შუამავლების, მოკორესპოდენტო ფინანსური ინსტიტუტების გამოყენება (მსგავსი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში), მესამე მხარეზე დაყრდნობა (მსგავსი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში);

ე) ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურასთან, ანგარიშვალდებულების ფარგლებთან და მათ გადანაწილებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;

ე.ა) გარე კომპანიებზე (ე.წ აუთსორსინგი) დელეგირებულია AML/CFT შესაბამისობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფუნქციები.

ვ) ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;

ვ.ა) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელოს (RBA სახელმძღვანელო) დანართ N2-ით და საკუთარი პოლიტიკა/პროცედურებით გათვალისწინებული პროდუქტების შეთავაზებაზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი;

ზ) ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების არხები;

ზ.ა) პროდუქტები/მომსახურება მიწოდებულია ან ტრანზაქცია განხორციელებულია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით;

ზ.ბ) პროდუქტები/მომსახურება მიწოდებულია ან ტრანზაქცია განხორციელებულია დისტანციური ფორმით;

ზ.გ) აგენტების მეშვეობით ხდება პროდუქტების/მომსახურების მიწოდება ან ტრანზაქციის შესრულება;

თ) კლიენტთა ტიპები, რომელთაც ემსახურება ორგანიზაცია და მომსახურება;

თ.ა) კლიენტთა ბაზის სტრუქტურა უმეტესწილად წარმოდგენილია მაღალი ML/TF რისკის დონის მატარებელი კლიენტებით;

თ.ბ) კლიენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არარეზიდენტი პირია (განსაკუთრებით მაღალი რისკის იურისდიქციის და ოფშორული ზონის წარმომადგენლები);

თ.გ) იურიდიულ პირ კლიენტთა შემთხვევაში, მათი მნიშვნელოვანი წილი რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონეა;

თ.დ) იურიდიულ პირ კლიენტთა შემთხვევაში, ხშირ შემთხვევაში მათი ბენეფიციარი მესაკუთრე პირები რეგისტრირებულნი არიან მაღალი რისკის იურისდიქციებში/ოფშორულ ზონებში.

ორგანიზაციასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებთან ასოცირებული რისკ-კატეგორიები:

ა) კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობა;

ა.ა) ორგანიზაციის კლიენტების მიერ გამოყენებულია ორგანიზაციის მიერ მაღალრისკიან პროდუქტებად განსაზღვრულ ან/და RBA სახელმძღვანელოს დანართ N2-ით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების პროცენტული წილი ორგანიზაციის მთლიან ბრუნვაში მოცულობითია;

ა.ბ) ორგანიზაციის მთლიანი ბრუნვის მოცულობით ნაწილს დისტანციური ფორმით განხორციელებული პროდუქტი/მომსახურება შეადგენს;

ა.გ) მოცულობითია ფმს-ში ანგარიშგებების გაგზავნის მაჩვენებელი ან/და წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკა ფიქსირდება;

ა.დ) კლიენტთათვის ML/TF რისკის დონის მაჩვენებლის გაუარესების ტენდენცია ფიქსირდება;

ბ) კლიენტთა რეზიდენტობა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების გეოგრაფიული არეალი;

ბ.ა) RBA სახელმძღვანელოს მე-8 მუხლით გათვალისწინებული რისკ-ფაქტორები;

გ) ფინანსურ ინსტიტუტებთან საქმიანი ურთიერთობა;

გ.ა) საკორესპოდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების მართვის სახელმძღვანელოს მე-4 მუხლით გათვალისწინებული რისკ-ფაქტორები;

### **მუხლი 11. ორგანიზაციის/ჯგუფის რისკის აპეტიტის განსაზღვრა**

1. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით განსაზღვრულ სტანდარტულ და დამატებით რისკ-კატეგორიებთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების ანალიზისა და მათთვის რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის დასრულების შემდგომ, ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის აპეტიტი, კერძოდ, ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს რისკების ტოლერანტობის ჩარჩო.
2. რისკის აპეტიტი რისკის ის ოდენობაა, რომლის ასაღებად ორგანიზაცია მზადაა. რისკის აპეტიტის განსაზღვრა ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით მოიაზრებს ლიმიტების სისტემის შემუშავებას, რომელიც ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას მისცემს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს შესაბამისი რისკ-ფაქტორების პოზიციას.

### **მუხლი 12. კონტროლის მექანიზმების შეფასება**

1. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით თანდაყოლილი რისკების იდენტიფიცირებისა და რისკის აპეტიტის განსაზღვრის შემდგომ, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს არსებული კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობა და დადგინდეს ორგანიზაციის/ჯგუფის დონეზე გამოყენებული მექანიზმების იდენტიფიცირებულ რისკებთან პროპორციულობის ხარისხი.
2. შეფასების ამ ეტაპზე, უნდა გაანალიზდეს და ფორმალიზებული სახით აღიწეროს, თუ რა კონტროლის მექანიზმებია გათვალისწინებული შიდა კონტროლის სისტემით, იდენტიფიცირებული რისკების შესამცირებლად.
3. ორგანიზაციის მასშტაბით არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მინიმუმ, ამ სახელმძღვანელოს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რისკ-კატეგორიების შემცირების მიზნით არსებული სისტემის ეფექტურობა. ხოლო, ჯგუფის მასშტაბით არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ სახელმძღვანელოს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რისკ-კატეგორიების შემცირების მიზნით არსებული სისტემის ეფექტურობა. ამასთან, უნდა შეფასდეს ზოგადად ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, შიდა აუდიტის სამსახურის, ორგანიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროგრამის ეფექტურობა. აგრეთვე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, თავად ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებული თვისობრივი ანალიზის კომპონენტები.



4. პოლიტიკა და პროცედურების მეშვეობით კონტროლის მექანიზმის ადეკვატურობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს:

ა) რამდენად შეესაბამება ორგანიზაციაში/ჯგუფში დანერგილი კონტროლის სისტემა (მათ შორის პოლიტიკა/პროცედურები) საქართველოს კანონმდებლობის, ასევე, სებისა და ფმს-ის სამსახურის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ითვალისწინებს თუ არა ის FATF-ის რეკომენდაციებით დადგენილ კრიტერიუმებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

ბ) ითვალისწინებს თუ არა პოლიტიკა-პროცედურა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხს:

ბ.ა) „იცნობდე შენს კლიენტს“ სტანდარტს;

ბ.ბ) კლიენტთა რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცედურას;

ბ.გ) ინფორმაციის აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და შენახვის პროცედურას;

ბ.დ) საეჭვო, უჩვეულო, დანაწევრებული ოპერაციის (გარიგების) განსაზღვრის კრიტერიუმებს;

ბ.ე) საკორესპონდენტო ურთიერთობებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროცედურას;

ბ.ვ) საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებთან/განვითარებული ქვეყნების მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებთან მიმართებაში არსებულ მიდგომებს;

ბ.ზ) კომერციული ბანკის თანამშრომელთა შერჩევის პოლიტიკასა და სწავლებას;

ბ.თ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

გ) კანონმდებლობის და ანგარიშვალდებული პირის რისკის პროფილის ცვლილების, აგრეთვე, AML/CFT სფეროში არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, რამდენად ხდება პოლიტიკა/პროცედურების პერიოდული განახლება და პრაქტიკაში იმპლემენტირება;

დ) რამდენად დეტალიზებული და ფორმალიზებულია ანგარიშვალდებული პირის/ფინანსური ჯგუფის ხელმძღვანელობის, მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისა (ფინანსური ჯგუფის შემთხვევაში, დამატებით - ჯგუფის მასშტაბით მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის) და შიდა აუდიტის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა;

ე) ითვალისწინებს თუ არა პოლიტიკა-პროცედურები ML/TF ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკების ანალიზის მეთოდოლოგიას და არის თუ არა აღნიშნული სათანადო ფორმით დეტალიზებული და ფორმალიზებული;

ვ) ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკების ანალიზთან დაკავშირებული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები სათანადოდ არის თუ არა განსაზღვრული და ფორმალიზებული;

ზ) ინახება თუ არა ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების კომპლექსურობის დადგენის მიზნით ჩატარებული ანალიზის მიზნით წარმართული პროცესებისა და დადგენილი შედეგების შესახებ არგუმენტირებული ანალიზის დოკუმენტი.

5. პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირება და მისი ფუნქციონალის ორგანიზაციის კომპლექსურობასთან შესაბამისობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ანგარიშვალდებულ პირის ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით იდენტიფიცირებული ML/TF რისკების კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობას. აღნიშნული ტიპის კონტროლის მექანიზმების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულ პირის მიერ იმპლემენტირებული პროგრამული უზრუნველყოფა აკმაყოფილებდეს სულ მცირე სტანდარტულ მოთხოვნებს:

- ა) რისკის დონის მიხედვით, კლიენტების კლასიფიცირებას და სისტემატიზაციას, რაც ხელს შეუწყობს კლიენტის რისკის გათვალისწინებით გარიგებების მონიტორინგის განხორციელებას;
- ბ) ორგანიზაციაში კლიენტის შესახებ არსებული და დამატებით მოპოვებული ინფორმაციის პროგრამულ აღრიცხვასა და სისტემატიზაციას;
- გ) პოლიტიკურად აქტიური, ტერორისტების/ტერორიზმის ხელშემწყობი, ასევე, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული ქვეყნების მიერ სანქცირებული სხვა პირების იდენტიფიცირებისათვის საჭირო ფუნქციონალი.

6. კომპლექსური რისკის ანალიზის საჭიროების მქონე ანგარიშვალდებულ პირის პროგრამული უზრუნველყოფა სტანდარტულ მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციების ავტომატურ იდენტიფიცირებას;
- ბ) დანაწევრებული ოპერაციების ავტომატურ იდენტიფიცირებას;
- გ) ურთიერთდაკავშირებული პირების მიერ განხორციელებული ოპერაციების იდენტიფიცირებას;
- დ) პოლიტიკურად აქტიური პირის ავტომატურად იდენტიფიცირებას და ანგარიშის გახსნის პროცესის ბლოკირებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელებამდე;
- ე) ტერორისტთა/ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა ავტომატურ იდენტიფიცირებას და მათი ოპერაციების ბლოკირებას;
- ვ) კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული ქვეყნების მიერ სანქცირებულ პირთა ავტომატურ იდენტიფიცირებას და მათი ოპერაციების ბლოკირებას;
- ზ) ტრანზაქციების ავტომატურ იდენტიფიცირებას კლიენტებისათვის მინიჭებული რისკის დონის მიხედვით;
- თ) კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზებას;
- ი) ფმს-სთვის გადასაცემი ანგარიშგებების ძირითადი ველების ავტომატური შევსებას.

### მუხლი 13. ნარჩენი რისკის შეფასება

1. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით იდენტიფიცირებული საწყისი რისკებისა და მათზე კონტროლის გარემოს ზემოქმედების შედეგად დარჩენილი რისკის დონე განიხილება ორგანიზაციის/ჯგუფის ნარჩენი რისკის დონედ. ნარჩენი რისკის

დათვლისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თანდაყოლილი რისკ-კატეგორიებისა და მათთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების პროპორციულობის საკითხი.

2. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ნარჩენი რისკის შეფასების მიზანია, შესაბამისი მიტიგაციის ზომები იქნას შერჩეული კონკრეტული შედეგების, დაწესებულების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. აღნიშნული პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, ნარჩენი რისკის კალკულაციამ უნდა უზრუნველყოს:

- ა) ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ნარჩენი რისკის იდენტიფიცირება;
- ბ) ორგანიზაციულ-სტრუქტურულ დონეზე ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ML/TF კუთხით მოწყვლადი ერთეულებისთვის დამახასიათებელი ნარჩენი რისკების იდენტიფიცირება;
- გ) ML/TF კუთხით მოწყვლადი ბიზნეს მიმართულებების ნარჩენი რისკების იდენტიფიცირება (პროდუქტები/მომსახურება);

**თავი V – რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის მართვის პროცესთან დაკავშირებული სტანდარტული პროცედურები**

**მუხლი 14. ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვა**

1. ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს და მოიაზრებს საჭირო ქმედებების განხორციელებას იდენტიფიცირებული რისკების შემცირების მიზნით.
2. რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე. რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას მისი ფუნქციონირების ყველა ეტაპზე.
3. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო დაწესებულებაში შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.
4. რისკის მართვა უნდა ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს და ხორციელდებოდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად. რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს დაწესებულებას, უზრუნველყოფს რა მისი ამოცანების ეფექტურად შესრულებას.

5. ანგარიშვალდებულმა პირმა ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის პროცესში შემუშავებული რისკის აპეტიტის პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნების მონიტორინგის მიზნით შესაძლოა გამოიყენოს რამოდენიმე ტიპის მეთოდი, კერძოდ:

- ა) პრევენციული ღონისძიებების ინიცირება რისკის აპეტიტის განსაზღვრულ ლიმიტამდე შენარჩუნების მიზნით - დაადგინოს რისკის ლიმიტი პროდუქტებთან/პროდუქტების მიწოდების არხებთან/კლიენტთა ტიპებთან/გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებით;
- ბ) მაკორექტირებელი კონტროლი - ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების ანალიზის/შედეგების გადახედვის პროცესში იდენტიფიცირებული გადაცდომების გამოსწორების მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- გ) შიდა აუდიტის ფუნქცია - შიდა აუდიტის სამსახურის მნიშვნელობიდან და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ იგი ანგარიშვალდებულ პირის მიერ საკუთარი შიდა კონტროლის სისტემის შეფასების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, აუდიტის მიერ ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით შემოწმების პროცესი უნდა იყოს სისტემატიური და შეესაბამებოდეს ანგარიშვალდებულ პირის ML/TF რისკ პროფილის მახასიათებლებს.

## **თავი VI – რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის კომუნიკაციის პროცესთან დაკავშირებული სტანდარტული პროცედურები**

### **მუხლი 15. რისკის კომუნიკაციის მიზნები, ამოცანები და პრინციპები**

1. რისკის კომუნიკაციის მიზანია რისკის შეფასებისა და მართვის პროცესისა და შედეგების შესახებ დროული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციით შესაბამისი პირების უზრუნველყოფა.
2. რისკის კომუნიკაცია ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდების სწრაფი სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ზუსტი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა შიდა და გარე დონეებზე.
3. რისკის კომუნიკაციამ უნდა უზრუნველყოს საფრთხეებისა და შესაძლო რისკების შესახებ გადაწყვეტილებების გაცვლის პროცესი, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, და აღნიშნულ გადაწყვეტილებათა მიღება გამარტივებული გზით, რათა ჩართულ მხარეთა უფლებები და ინტერესები იყოს მაქსიმალურად დაცული.
4. შიდა დონეზე რისკის კომუნიკაციამ უნდა უზრუნველყოს:
  - ა) რისკის ანალიზის პროცესებისა და შედეგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ზუსტი კომუნიკაცია და რისკის ანალიზის პროცესში მონაწილეთა საქმიანი ურთიერთობების გაუმჯობესება;

- ბ) რისკის მართვის რეკომენდაციების შემუშავებისა და მიწოდების დროს ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა კონკრეტული განსახილველი საკითხების შესახებ ცოდნის ამაღლება;
- გ) რისკის ანალიზის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სათანადო ჩართვა ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკების საკითხებზე ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით.

#### **მუხლი 16. რისკის კომუნიკაცია ზედამხედველთან**

1. მიზანშეწონილია, რომ ორგანიზაციული რისკის შეფასება განხორციელდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ, თუმცა, თუ ანგარიშვალდებული პირი არგუმენტირებულად მიიჩნევს, რომ რისკის მატარებელ გარემოებებთან დაკავშირებული არსებითი ხასიათის ცვლილებები არ ფიქსირდება, მას შეუძლია რისკების შეფასება განხორციელოს უფრო ნაკლები პერიოდულობით (თუმცა, არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ). გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, საზედამხედველო ორგანოს მითითებისას, ორგანიზაციის რისკის შეფასება შესაძლოა განხორციელდეს საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადებში ან პერიოდულობით.
2. ჯგუფის მასშტაბით ორგანიზაციული რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს სათავო საწარმოს ორგანიზაციული რისკის შეფასების იდენტური პერიოდულობით.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია ორგანიზაციული/ჯგუფის მასშტაბით განხორციელებული წლიური რისკის ანალიზის დოკუმენტი წარუდგინოს საზედამხედველო ორგანოს წელიწადში ერთხელ, განხორციელებული საანალიზო პერიოდის მომდევნო წლის აპრილის თვის განმავლობაში, ან ამავე ვადებში წარადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, შესაბამისი დასაბუთება რისკის ხელახალი შეფასების საჭიროების არარსებობის შესახებ.